პირობები ძალაშია 2020 წლის 16 დეკემბრიდან

ვერსია N 1

ხელშეკრულება
მაუწყებლობის ტრაზიტის მომსახურების გაწევისა და საამისოდ
მოწყობილობის / აპარატურის / დეკოდირების კარტის
დროებით სარგებლობაში გადაცემის
შესახებ

ქ.თბილისი 16.12.2020

ჩვენ, ერთის მხრივ შპს "ჯეო ჩენელზ" (შემდგომში წოდებული "ოპერატორი"), წარმოდგენილი დირექტორის ბ-ნ ზაზა აგლაძის სახით, და მეორეს მხრივ აბონენტი (შემდგომში წოდებული "აბონენტი"), საქართველოს კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის ჩართვას/მიერთებას საერთო სარგებლობის ქსელში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამაუწყებლო არხის (არხების) ტრანზიტით მის (აბონენტის) მომსახურებას ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;

1.2 აბონენტი ვალდებულებას იღებს 1.1 პუნქტით გათვალისწინებული გასაწევი (გაწეული) მომსახურების სანაცვლოდ განახორციელოს ოპერატორთან წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ანგარიშსწორება.

მუხლი 2. საერთო სარგებლობის ქსელში აბონენტის ჩართვის ძირითადი პირობები

2.1 აბონენტის ჩართვა საერთო სარგებლობის ქსელში ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში, ამ უკანასკნელის ტერმინალური მოწყობილობის (ტელევიზორი და სხვა) განთავსების ადგილის მიხედვით, რომლის მისამართი მოცემულია დანართი N1 - ში;

2.2 აბონენტი ვალდებულია დაუშვას ოპერატორის თანამშრომელი და შეუქმნას მას სათანადო სამუშაო პირობები იმ მისამართზე, სადაც განთავსებულია აბონენტის ტერმინალური მოწყობილობა, რაც იმავდროულად გულისხმობს აბონენტის თანხმობასა და უზრუნველყოფის ვალდებულებას მის საერთო სარგებლობის თანასაკუთრების (თანამფლობელობის) ტერიტორიაზე ოპერატორის საერთო სარგებლობის ქსელის ცალკეული ელემენტების განთავსება/მონტაჟზე. ყოველგვარი გაურკვევლობისა და მომავალში დავის თავიდან აცილების მიზნით, ოპერატორის თანამშრომლის მიერ

აბონენტის მისამართზე, მათ შორის თანასაკუთრების (თანამფლობელობის) ფართზე წარმოებული სამუშაოებით, რომელიც თუკი შესრულებული იქნება ტექნიკური წესების დაცვითა და გონივრულობით, მოსალოდნელი ზიანის რისკის მატარებელს წარმოადგენს თავად აბონენტი. ამასთანავე, ოპერატორს არ ეკისრება ვალდებულება წინასწარ შეამოწმოს სამუშაო ტერიტორიის მდგომარეობა და განსაზღვროს სამუშაოებით მოსალოდნელი ზიანი;

2.3 ოპერატორის საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელთან დასაკავშირებლად გამოყენებული ის საკაბელო ხაზი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აბონენტის ტერმინალური მოწყობილობის მიერთება, წარმოადგენს აბონენტის საკუთრებას (პასუხისმგებლობის სფეროს) და ის არ განიხილება ოპერატორის საერთო სარგებლობის ქსელის შემადგენელ ნაწილად.

2.4 საერთო სარგებლობის ქსელში ჩართვას დაქვემდებარებული აბონენტის ტერმინალური მოწყობილობის რაოდენობა ასევე მოცემულია დანართი N 1 ში, რომლის ოდენობის გაზრდა შესაძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აბონენტის წერილობითი / ელექტრონული /დისტანციური მოთხოვნით და იმ ვადაში, რაც მოცემულია 2.1-ე პუნქტში;

2.5 ოპერატორი უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის ქსელის გამართულ და ხარისხიან ფუნქციონირებას, რა დროსაც დასაშვებია ცალკეული პროფილაქტიკური და აღდგენითი სამუშაობის გამო მომსახურების დროებითი შეზღუდვა. ამასთანავე, აღნიშნულის თაობაზე აბონენტს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;

2.6 აბონენტი ცნობად ღებულობს იმ გარემოებებს, რომ საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება განპირობებულია კუმულაციურად ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ტექნოლოგიური ფაქტორით და რომ ამ უკანასკნელიდან გამომდინარე ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ქსელის გადატვირთვასა და მის ავარიულ გათიშვას, რის გამოც ასეთ ცალკეულ შეფერხებებს არ მიიჩნევს უხარისხო შესრულებად, თუკი კონკრეტული კალენდარული თვის განმავლობაში მათი რაოდენობა ჯამში არ აღემატება 10-ს და უწყვეტი ხანგრძლივობა კი 24 საათს;

2.7 ყოველგვარი ბუნდოვნებისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით ოპერატორი პასუხს არ აგებს იმ დაზიანებებზე, რომელსაც ადგილი ექნება ტერმინალური მოწყობილობასა და საერთო სარგებლობის ქსელს შორის არსებულ საკაბელო ხაზის მონაკვეთში;

2.8 სადემარკაციო წერტილამდე არსებული მონაკვეთის დაცვისა და მოვლის ვალდებულება ეკისრება თავად აბონენტს. ამასთანავე ის უფლებამოსილი არაა ოპერატორთან შეთანხმების გარეშე განახორციელოს რაიმე სახის სამონტაჟო და ხაზზე სარემონტო სამუშაოები იმდაგვარად, რომ არსებითად შეიცვალოს საკაბელო ხაზის მარშრუტი, დაგეგმარება, გაზარდოს ქსელის დაცულობის დარღვევის რისკები, ის საჭიროებდეს სადემარკაციო წერტილთან და/ან მასზე რაიმე ცვლილებების განხორციელებასა და სხვა.

მუხლი 3. სამაუწყებლო არხების ტრანზიტით მომსახურების პირობები

3.1 ოპერატორი უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის ქსელის მეშვეობით აბონენტისათვის სამაუწყებლო არხების 24 საათის განმავლობაში ტრანზიტით შეუფერხებელ და უწყვეტ მომსახურებას, იმ გამონაკლისის გარდა, რაც განპირობებული შეიძლება იყოს ოპერატორისაგან დამოუკიდებელი და მისი არაბრალეულობით დამდგარი შემდეგი შემაფერხებელი ფაქტორებით, კერძოდ: 1. ქსელის პროფილაქტიკური რემონტი (აუცილებლობის შემთხვევაში ყოველი თვის პირველ ორშაბათს 10:00 – 13:00 და/ან სხვა დროს, რომლის თაობაზე დამატებით იქნება აბონენტი ინფორმირებული); 2. ქსელის ავარიული გათიშვა/რემონტი; 3. მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების შეჩერება/შეწყვეტა ან/და აკრძალვა, განპირობებული მესამე პირთა გადაწყვეტილებითა თუ მოქმედებით; 4. და სხვა;

3.2 კონკრეტული სამაუწყებლო არხის საერთო სარგებლობის ქსელით ტრანზიტს ოპერატორი განსაზღვრავს დამოუკიდებლად, რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება ოპერატორის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებითა და/ან სხვა ფორმით (მათ შორის სატელეფონო ზარით, SMS შეტყობინებით, ელექტრონული გზავნილითა და სხვა საშუალებით), შეტყობინების გაგზავნის სხვა ფორმას თუ არ ითვალისწინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი დადგენილება (ასეთი არსებობის შემთხვევაში გამოიყენება დადგენილებით განსაზღვრული შეტყობინების ფორმა);

3.3 ოპერატორი უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის ქსელით აბონენტის მიერ არჩეულ პაკეტში შემავალი სამაუწყებლო არხების ტრანზიტს, რომლის ჩამონათვალი წინამდებარე მუხლის 3.1-ე და 3.2-ე პუნქტიდან გამომდინარე შეიძლება შეიცვალოს და მათ შორის დროებით შემცირდეს კიდეც. ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და შემდგომში მისი მოქმედების განმავლობაში საერთო სარგებლობის ქსელით გადასაცემი სამაუწყებლო არხების დეტალური ჩამონათვალის აბონენტისათვის წინასწარ გაცნობა უზრუნველყოფილია ოპერატორის ვებ-გვერდის მეშვეობით **http://geochannels.ge/.** მხარეები თანხმდებიან, რომ გადასაცემი სამაუწყებლო არხების ჩამონათვალის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აისახება ოპერატორის ვებ-გვერდზე, არ ავალდებულებს მხარეებს წერილობით ფორმაში დამატებითი შეთანხმების გაფორმებას.

3.4 ოპერატორი უფლებამოსილია შექმნას სპეციალური, სხვადასხვა ფასიანი პაკეტი (მათ შორის მოახდინოს არსებულის ცვლილება / მოდიფიცირება), შემდგარი კონკრეტული ნიშნით დაკომპლექტებული სამაუწყებლო არხებისაგან ან/და კონკრეტული რაოდენობის სამაუწყებლო არხებისაგან, რომელთა არჩევას/შეცვლას/შეწყვეტას აბონენტი განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით;

3.5 აბონენტი უფლებამოსილია მიმართოს ოპერატორს პაკეტის ცვლილების მოთხოვნით, ოპერატორის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით, გამოქვეყნებულს ოპერატორის ვებ-გვერდზე.

3.6 ოპერატორი უზრუნველყოფს მაქსიმალურად სწრაფ და გონივრულ ვადაში მოახდინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების თავიდან აცილება და აღმოფხვრა. ამ მხრივ ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისაგან დაზიანებაზე მიღებული შეტყობინებაზე დაუყოვნებლივ რეაგირებას იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარებას ექნება ადგილი.

3.7 აბონენტი უფლებამოსილია დააპაუზოს ოპერატორის მომსახურება (დაპაუზების მაქსიმალური ვადა და საფასური მოცემულია დანართი N 1 ში).

3.8 იმ შემთხვევაში თუ აბონენტი არ იხდის ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადს და ამასთანავე, არც აპაუზებს მომსახურებას, ოპერატორი უფლებამოსილია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეუწყვიტოს მას მომსახურების მიწოდება.

მუხლი 4. სააბონენტო გადასახადი და მხარეთა ანგარიშსწორება

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტიდან გამომდინარე აბონენტი ვალდებულია გადაუხადოს ოპერატორს საერთო სარგებლობის ქსელში ჩართვის (მათ შორის ხელახალი და განმეორებითი ჩართვა) ერთჯერადი გადასახადი და ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი;

4.2 აბონენტის ჩართვის (მათ შორის ხელახალი და განმეორებითი ჩართვა) ტარიფი და ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N 1-ში და რაც იმავდროულად ასახულია აბონენტის განაცხადში;

4.3 წინამდებარე მუხლის 4.2-ე პუნქტით გათვალისწინებული საერთო სარგებლობის ქსელში აბონენტის ჩართვის ღირებულება გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ, ოპერატორის შეხედულებით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

4.4 წინამდებარე მუხლის 4.3-ე პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ მიმდინარე თვის 10 რიცხვამდე, ოპერატორის შეხედულებით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს შეუჩერდება მომსახურება;

4.5 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ადგილი ექნა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ეროვნული ვალუტის საკონვერტაციო კურსის ისეთ ცვლილებას, რის გამოც ოპერატორს არსებითად შეიძლება გაეზარდოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ხარჯები, შესაბამისად კონკრეტული საანგარიშო პერიოდის მიხედვით ოპერატორის ცალმხრივი გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს 4.1 პუნქტით გათვალისწინებული სააბონენტო გადასახადის ოდენობის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, მისი იმ პროცენტული მაჩვენებლით გაზრდით, რა მაჩვენებლითაც შეცვლილი იქნება ეროვნული ვალუტის კურსი, ვიდრე ეს არის წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს. ფასი ასევე შეიძლება შეიცვალოს სხვა არსებითი

გარემოებების ცვლილების შემთხვევაში (მაგალ. სამაუწყებლო კონტენტის საფასურის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი გაზრდა, ტექნოლოგიური გადახალისება და სხვა ის ცვლილება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაზე);

4.6 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა ისეთ დაზიანებას, რომლის გამოსწორების ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ ეკისრება ოპერატორს, აბონენტის მოთხოვნით ოპერატორის მიერ მას შეიძლება გაეწიოს დამატებითი მომსახურება დანართი 1-ში მითითებული ტარიფების შესაბამისად;

4.7 აბონენტისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ნებისმიერი მიზეზით შეფერხებულად მიწოდების შემთხვევაში, ყოველ შეფერხებულ პერიოდზე (ვადაზე) პროპორციული წესით არ იწარმოებს სააბონენტო გადასახადის დარიცხვა და შესაბამისად აბონენტს არ წარედგინება ზემოხსენებულ პერიოდზე ანგარიში.

4.8 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მუხლის 4.5-ე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფის ცვლილების საფუძვლებთან ერთად და მის პარალელურად ამ ხელშეკრლების ძალაში შესვლიდან ყოველი 6 თვის გასვლის შემდგომ ოპერატორი უფლებამოსილია მოითხოვოს სააბონენტო საფასურის გაზრდა, რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება ერთი თვით ადრე. საფასურის ცვლილებების თაობაზე მიღებული შეტყობინება ითვლება შეთანხმებულად, თუკი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის გასვლამდე უარი არ იქნა გაცხადებული აბონენტის მხრიდან ტარიფის ცვლილებაზე. უარის გაცხდების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება მიიჩნევა შეწყვეტილად.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები სრულად აგებენ ერთმანეთის წინაშე პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა არაჯეროვან შესრულებაზე და მისგან გამომდინარე შედეგად დამდგარ ზიანზე;

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნება ქსელის დაცულობის დარღვევა და არასანქცირებული ჩართვა (თუნდაც სხვა მესამე პირისა), ოპერატორი უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევს მიყენებული მატერიალური ზარალის (ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ანაზღაურება;

5.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომების გამოყენება არ გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისიწინებულ სხვა ღონისძიებათა გამოყენების შესაძლებლობას როგორც ცალკე, ისე დამატებითი სახით;

5.5 ოპერატორი უფლებამოსილია, ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში (თუ კი აბონენტს დაპაუზებული არ აქვს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების და დანართი N 1- ის პირობების შესაბამისად), ამასთანავე არ აბრუნებს დანართი N 1 - ში მითითებულ აპარატურას ან მის ღირებულებას, დააკისროს მას პირგასატეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.20 თეთრის ოდენობით, მის მიერ ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე ან/და ოპერატორის მიერ მის იძულებით აღსრულებამდე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 ფორს-მაჟორის (დაუძლეველი ძალა) შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობა გამორიცხულია;

6.2 ფორს-მაჟორი არის ისეთი გარემოება, რომელიც დგება მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად და შეუძლებელია თავიდან იქნეს აცილებული მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობისა და შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. ამასთან აღნიშნული გარემოების გათვალისწინება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის;

6.3 ფორს-მაჟორის დადგომის შესახებ დაინტერესებულმა მხარემ შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები;

6.4 ფორს-მაჟორის დადგომის შემთხვევაში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება ჩერდება მისი არსებობის მთელი ვადის განმავლობაში;

6.5 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორის მოქმედების ვადა აღემატება ერთ თვეს, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ყოველგვარი დამატებითი შეთანხმებისა და ორმხრივი ნების გამოვლენის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 7. პრეტენზიებისა და დავების განხილვა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვანი შესრულებისა და დარიცხული (გადახდილი) სააბონენტო გადასახადის ოდენობის გამო აბონენტი უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს ოპერატორის საპრეტენზიო სამსახურს.

7.2 პრეტენზიის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ფორმით, თუ სხვა რამ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით;

7.3 პრეტენზიას ოპერატორი განიხილავს სავალდებულო წესით კანონით დადგენილ ვადაში და წერილობით აცნობებს აბონენტს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების წერილობითი სახით აბონენტისათვის გადაცემა ხორციელდება მისი

მოთხოვნით ოპერატორის ადგილსამყოფელზე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაცემის სხვა ფორმა არ იქნა გამოყენებული ოპერატორის მიერ;

7.4 პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს აბონენტის უფლებრივი დარღვევები და მათ შორის გააუქმოს არასწორი დარიცხვები;

7.5 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა შეიძლება იქნეს განხილული და გადაწყვეტილი თბილისის საქალაქო სასამართლოს და ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ (ამასთანავე მხარეები თანხმდებიან, რომ სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეიძლება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსრულებას, მისი გასაჩივრებისა და ძალაში შესვლის მიუხედავად თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 პუნქტისა).

მუხლი 8. მხარეთა შეტყობინებები

8.1 მხარეთა შორის შეტყობინებები იგზავნება წერილობითი ან/და ელექტრონული სახით (მათ შორის უთანაბრდება ინტერნეტში მხარის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება საკომუნიკაციო მომსახურების ცალკეულ პირობებთან, სიახლეებთან, ტარიფებთან ან ცხელი ხაზის ამოქმედებასთან დაკავშირებით);

8.2 მხარეთა ნება ძალაში შედის მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული შეტყობინების ადრესატისათვის გადაცემისთანავე;

8.3 8.2 მუხლიდან გამომდინარე გადაცემაში იგულისხმება წერილობითი შეტყობინების ადრესატის კანცელარიაში ჩაბარება (ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად ამ პირისათვის და/ან მასთან თანამცხოვრები პირისათვის გადაცემა), მისი თანამშრომლისათვის გადაცემა, ფაქსითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით გაგზავნა და აგრეთვე ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით;

8.4 ელექტრონული სახით მხარეები შეტყობინებებს ერთმანეთს უგზავნიან შემდეგ მისამართზე: ოპერატორი: **geochannels1@gmail.com;** აბონენტი: აბონენტის განაცხადში მითითებულ მისამართზე;

8.5 ელექტრონული სახით შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული გაუგებრობის შემთხვევაში მტკიცება ეკისრება მის გამგზავნ მხარეს;

8.6 შეტყობინების გაგზავნას უთანაბრდება ოპერატორის მიერ ორგანიზებული სატელეფონო ავტომატური-დარეკვები და SMS შეტყობინებათა დაგზავნა ნებისმიერი საკითხზე აბონენტის ინფორმირებისა ანდა გაფრთხილების მიზნით;

8.7 მხარისათვის გაგზავნილი შეტყობინება ითვლება მიღებულად და შეთანხმებულად, თუ დაუყოვნებლივ მომდევნო დღესვე არ იქნა ადრესატის მიერ გაგზავნილი დასაბუთებული უარი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით;

8.8 ყოველგვარი შეტყობინება მოცემული უნდა იყოს ქართულ ენაზე კითხვადი ჩანაწერით;

8.9 შეტყობინებათა გაგზავნა მხარეთა მიერ ხორციელდება სამუშაო დღეებში. ამასთან ის შეტყობინებები, რომლებიც ადრესატს მიუვიდა არა სამუშაო დღეს ძალაში შედის მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

მუხლი 9. აპარატურის სარგებლობაში გადაცემის და სარგებლობის ზოგადი წესები

9.1წინამდებარე ხელშეკრულებით **ოპერატორი** გადასცემს **აბონენტს** ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადითა და პირობებით დროებით სარგებლობაში **დანართი N 1 – ში მითითებულ მოწყობილობას (შემდგომში „აპარატურა“)**, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აბონენტისათვის მისაწოდებლად.

9.2აპარატურის აბონენტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა წარმოებს კლიენტის ან **ოპერატორის** მისამართზე, აპარატურის ინსტალაციითა და ფუნქციონირების / ექსპლოატაციის ვარგისიანობის შემოწმებით.

9.3აპარატურის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ მხარეები აფორმებენ **დანართს N 1**, რომლითაც იმავდროულად ადასტურებენ ამ მოწყობილობის ინსტალაციასა და ექსპლოატაციის ვარგისიანობას.

9.4აპარატურის ტექნიკური წუნის (ნივთობრივი ნაკლის) აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული არ იქნება აბონენტის მხრიდან სარგებლობის წესების დარღვევითა და სარგებლობისას შემთხვევითი დაზიანება / განადგურების რისკით, **ოპერატორი** უზრუნველყოფს საკუთარი შეხედულებით აღნიშნული წუნის / ტექნიკური შეფეხების აღმოფხვრასა და/ან **აპარატურის** გამოცვლას, აბონენტის პრეტენზიის საფუძვლიანობის დადგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

9.5შემდგომში ყოველგვარი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით **აპარატურის** ტექნიკური წუნის შესახებ **ოპერატორს** უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ და წარედგინოს აპარატურა შესამოწმებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძოდ კი პრეტენზიის გაცხადებამდე და **აპარატურის** შემოწმებისათვის წარმოდგენამდე არსებულ პერიოდზე აბონენტს ეკისრება შემთხვევითი დაზიანებისა და განადგურების რისკი. ამასთან, აპარატურის სარგებლობის პერიოდში აბონენტს ეკისრება მისი შემთხვევითი დაზიანებისა და განადგურების რისკი.

9.6აპარტურით სარგებლობა / ექსპლოატაცია აბონენტმა უნდა განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისათვის, რაც გამორიცხავს მის (აპარატურის) სხვა მიზნობრიობით გამოყენების უფლებას / დაშვებას.

9.7დაუშვებელია:

9.7.1**აპარტურაში** ინსტალირებული პროგრამული შიგთავსის ცვლილება;
9.7.2**აპარტურაში** სხვა პროგრამის ინსტალირება და მისი შემდგომში ექსპლოატაცია;
9.7.3**აპარტურის** შიგთავსის(მიკრო ჩიპებისა და სქემების) ცვლილება და რაიმე სახის მათზე ზემოქმედება;
9.7.4**აპარტურის** შეფუთვის ერთიანობის დარღვევა და მისი გახსნა;
9.7.5**აპარტურის** ტექნიკური ექსპლოატაცია არასტაბილური დენის წყაროს პირობებში;
9.7.6**აპარტურის** შენახვა ფეთქებად და ცეცხლსაშიშ გარემოში;
9.7.7**აპარტურის** შეფუთვაზე რაიმე სახის ფიზიკური ზემოქმედება, მათ შორის ნებისმიერი ქმედებით დაზიანება, გამოყენება სხვა დანიშნულებითა და მასზე რაიმე ნივთის განთავსება;
9.7.8**აპარტურის** ექსპლოატაცია **ტექნიკური პასპორტით** გათვალისწინებული წესების დარღვევით;
9.7.9**აპარტურის** შენახვა, განთავსება და ექსპლოატაციადაბინძურებულ გარემოში;
9.7.10**აპარტურის** შენახვა, განთავსება და ექსპლოატაცია ნესტიან გარემოში;
9.7.11**აპარტურის** დასველება და მისი განთავსება წყალში;
9.7.12**აპარტურის** შენახვა, განთავსება და ექსპლოატაცია მაგნიტური ზემოქმედების გარემოში;
9.7.13**აპარტურის** შენახვა, განთავსება და ექსპლოატაცია მომეტებული რადიაციის ზონასა და გარემოში;
9.7.14**აპარტურის** ფუნქციონირება შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებისა და წინაპირობების გარეშე;
9.7.15**აპარტურაში** ინსტალირებული პროგრამული კომპონენტის დამოუკიდებლად და/ან სხვა მიზნით გამოყენება, გარდაქმნა, ცვლილება, დამატება კოპირება, რეპროდუცირება და მესამე პირებისათვის გადაცემა;
9.7.16 ტექნიკური წუნის და/ან სხვა სახის ტექნიკური შეფერხების აღმოჩენის / ფიქსირების შემთხვევაში **აპარატურის** შემდგომი გამოყენება.
9.7.17 და სხვა, რაც გამომდინარეობს **აპარტურის** ექსპლოატაციის **ტექნიკური პასპორტიდან.**

9.8**აპარტურის** დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემასთან ერთად აბონენტზე გადადის შემთხვევითი განდგურებისა და დაზიანების რისკი მანამ, ვიდრე აღნიშნული მოწყობილობა უკან არ იქნება დაბრუნებული **ოპერატორისთვის.**

9.9მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ **ოპერატორი** არ არის პასუხისმგებელი **აპარატურის ჯეროვანი** გამოყენება / ექსპლოატაციით წარმოშობილ რაიმე სახის ზიანზე.

9.10მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ **ოპერატორი** არ არის პასუხისმგებელი **აპარატურის** გამოყენება / ექსპლოატაციით წარმოშობილ და ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ზიანზე, რომლის ოდენობა აღემატება **დანართი N 1 – ში** გაცხადებულ ღირებულებას.

9.11მხარეები თანხმდებიან, რომ აბონენტს ეკისრება აპარატურის სრული ღირებულების (რაც მითითებულია **დანართი N 1 – ში**) ოპერატორისთვის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ:
9.11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 კალენდარული დღის ვადაში აბონენტი უკან არ დააბრუნებს აპარატურას;
9.11.2 განადგურდება აპარატურა;
9.11.3 მნიშვნელოვნად დაზიანდება აპარატურა;
9.11.4 დაირღვევა აპარატურის შიგთავსის ერთიანობა;
9.11.5 ოპერატირი სასამართლოში აღძრავს სარჩელს აბონენტის წინააღმდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების, რომელიმე ან/და ყველა პირობის დარღვევის გამო და მოითხოვს აპარატურის ღირებულების დაკისრებას აბონენტისთვის.
9.11.6დადგინდება, რომ აპარატურის გამოყენება აბონენტის მიერ წარმოებს სხვა მიზნობრიობით.
9.11.7 აბონენტი არ აპაუზებს მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ამასთანავე არ იხდის ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადს და არ აბრუნებს აპარატურას.
9.12წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ოპერატორის **უფლებას** წარუდგინოს აბონენტს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დამატებითი მეორადი ხასიათის მოთხოვნები.
9.13 ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება აბონენტთან და მოითხოვოს აპარატურის ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის დანართი N 1 - ის მარჯვენა ზედა მხარეს მითითებული თარიღიდან (ყოველი კონკრეტული მომხმარებლის შემთხვევაში დამოუკიდებლად დანართი N 1 - ში მითითებული თარიღიდან) და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება იგივე ვადითა და პირობებით, თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 10 დღით ადრე წერილობით არ შეატყობინებენ სურვილს მისი შეწყვეტის თაობაზე.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ვადაზე ადრე ნებისმიერ დროს, რის თაობაზეც ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მხარემ ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

10.4 აბონენტი უფლებამოსილი არაა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ოპერატორის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა გადასცეს მესამე პირს, თავისმხრივ კი ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნა გადასცეს მესამე პირს დამატებითი თანხმობის გარეშე. მხარეები დამატებით საგანგებოდ თანხმდებიან მასზედ, რომ ოპერატორი უფლებამოსილია აბონტენტის დამატებითი თანხმობის გარეშე სრულად და/ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოშობილი უფლებები (მოთხოვნები) და ვალდებულბები მესამე პირ(ებ)ს, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებაში ოპერატორის ჩანაცვლების გზით.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა საჭიროებს მხარეებს შორის ახალ წერილობით შეთანხმებას. ამასთანავე ისეთი ცვლილებები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად არ საჭიროებს ორმხრივ შეთანხმებას (მათ შორის ტარიფების შეცვლა, საკომუნიკაციო მომსახურების პირობების დადგენა, იურიდიული და ელექტრონული მისამართის შეცვლა, ოპერატორის მიერ უფლებებისა და ვალდებულებების მესამე პირებზე გადაცემა და სხვა), ხორციელდება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების გარეშე;

10.6 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების მთლიან ბათილობას, თუ შესაძლებელია შეთანხმებული საგნის მიღწევა;

10.7 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

10.8 საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში მხარეები უსადაგებენ სახელშეკრულებო ურთიერთობებს მოქმედ კანონმდებლობას, თუკი აღნიშნული ცვლილებებით შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა პირდაპირი გამოყენება;

10.9 მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადება: ა) არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობას; ბ) არ ეწინააღმდეგება მათი საზოგადოების წესდებას და შესაბამისად ადგილი არ აქვს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების ხარვეზს; გ) მიზნად არ ისახავს სხვა შინაარსის გარიგების დამალვასა ანდა სხვაგვარ მოჩვენებითობას; დ) არ არის განპირობებული იძულებითა და მუქარით, აგრეთვე მოტყუებითა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად სახელშეკრულებო პირობების თავზე მოხვევით; ე) არ არის განპირობებული სხვა ისეთი გარემოებებით, რის შედეგადაც წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მიჩნეულ იქნეს საცილოდ ანდა უცილოდ არარა გარიგებად. ხელშეკრულების ყველა დებულება მიღწეულია მხარეთა კონსენსუსის შედეგად;

9.10 წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები.

მხარეთა რეკვიზიტები :

ოპერატორი

შპს ჯეო ჩენელზ

მისამართი ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის გამზირი #23

ს/კ 402099778

დირექტორი ზაზა აგლაძე

აბონენტი

რეკვიზიტები ასახულია აბონენტის განაცხადში